ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №30585

ნომერი: AR110835

თარიღი : 26.01.2012

გაცემის თარიღი : 31.01.2012

გაცნობის თარიღი : 01.02.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თამარ მეფის გამზირი N16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუხუმი დიდებაშვილი პ/ნ 31001023256
- მცხეთა ს. ახალდაბა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია. გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები:

ვინაიდან საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა–ნაგებობებს და მათზე განთავსებული კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია აღნიშნული ობიექტის განვითარება. შესაძლებელია არსებული ფასადის გასუფთავება, მოწესრიგება იმ პირობით, რომ შენარჩუნებული იქნება მთლიანი შენობის სტილისტიკა თავისი კარნიზებით, არქიტექტურული დეკორატიული ელემენტებით, ღიობებით, სტრუქტურული ფორმების მინიმალისტური ცვლილებებით. შესაძლებელია არსებულ ღიობებზე მოეწყოს საჩრილობლები (ტენტები).

- გარდა ამისა, ვინაიდან ფართის მესაკუთრეა შ.პ.ს. "ეკა", ხოლო ამონაწერში მეწარმეთა და არასამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან დირექტორად ფიქსირდება პეპელა დადუნაშვილი, ახალი განცხადებით უნდა მოგვმართოს პეპელა დადუნაშვილმა ან დამატებით დოკუმენტაციის მოთხოვნის გრაფაში ატვირთოთ ნ მინდობილობა/თანხმობა აღნიშნულ საკითხის განხორციელებასთან დაკავშირებით

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.